ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის მერის სამოქალაქო მრჩეველთა საბჭო სხდომის ოქმი #13

19.02.2018

2018 წლის 19 თებერვალს გაიმართა ქ. რუსთავის მუნიციპალიტეტის მერის სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოს რიგით მეცამეტე სხდომა, რომელსაც ესწრებოდა დელეგატთა უმრავლესობა და მოწვეული ექსპერტები. სხდომას უძღვებოდა ფასილიტატორი ბ-ნი პავლე თვალიაშვილი.

დღის წესრიგი:

1. საბჭოს სხდომის გახსნა - პავლე თვალიაშვილი;

2. 2017 წლის 3 კვარტლის ბიუჯეტის შედეგების განხილვა;

3. 2017 წლის ბიუჯეტის 3 კვარტლის შეჯამება, რეკომენდაციების წარდგენა:

    ა) განათლების ჯგუფი.

    ბ) ჯანდაცვისა და სოციალურ საკითხთა ჯგუფი.

    გ) სპორტის, კულტურის და ახალგაზრდულ საქმეთა ჯგუფი.

    დ) ინფრასტრუქტურის ჯგუფი.

19 თებერვლის სეხვედრაზე საბჭოს წევრებმა წარადგინეს და იმსჯელეს იმ მნიშვნელოვან საკითხებზე, რომელზეც ყურადრება გამახვილდა 3 კვარტლის მონაცემების განხილვისას.

სხდომის ფარგლებში დლეგატებმა შეიმუშავეს 2017 წლის 9 თვის ბიუჯეტის შესრულების შემაჯამებელი დასკვნითი რეკომენდაციები (დანართი 1). რეკომენდაციები წარადგინეს საბჭოში მოქმედმა განათლების, ჯანდაცვისა და სოციალურ საკითხთა, ინფრასტუქტურის და სპორტის, კულტურის და ახალგაზრდულ საქმეთა სამუშაო ჯგუფებმა.

დელეგატებმა ასევე იმსჯელეს რიგ მნიშვნელოვან საკითხებზე, რომელიც საბჭოს უფრო ქმედუნარიანს გახდის და დაეხმარება მერიის სამსახურებთან ეფექტურ კომუნიკაციაში. ეს საკითხებია: 1) საჯარო ინფორმაციის გამოთხოვის პროცედურები და მეთოდები; 2) პრობლემური საკითხების, განხორციელებული და განსახორციელებელი პროექტების ანალიზი; 3) დროული ინფორმირებულობა; 4) სუბორდინაცია.

სხდომის დასასრულს შეხვედრა შეაჯამეს ექსპერტებმა და შემდეგი სხდომა ჩაინიშნა 2018 წლის 5 მარტს საღამოს 19:00 სთ-ზე.

სხდომის მდივანი

ნუკრი რამიშვილი

დანართი 1.

ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტის მერის სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოს რეკომენდაციები 2017 წლის ბიუჯეტის 9 თვის შესრულებაზე

1. განათლება

2017 წლის ბიუჯეტის სამი კვარტლის (9 თვის) ბიუჯეტის შესრულების განხილვისას შემაჯამებელ დასკვნაში განათლების სამუშაო ჯგუფმა ყურადღება გაამახვილა შემდეგ საკითხებზე:

1. ბიუჯეტის 9 თვის მონაცემებში არ ჩანს კონკრეტულად რა თანხები იხარჯება კომუნალურ ხარჯებზე და ბაგა-ბაღის აღსაზრდელთა კვებაზე;

2. არ ჩანს რა შესყიდვებია განხორციელებული. კერძოდ: ავეჯისა და სხვა საჭირო ინვენტარის შეცვლისა და ხარჯების შესახებ.

3. საჭიროა მოხდეს ბიუჯეტიდან გამოყოფილი თანხის გაშიფვრა შემდეგი მიმართულებით:

ა) ბაგა-ბაღის აღმზრდელ-პედაგოგთა და ძიძების პროფესიული გადამზადება;

ბ) საბავშვო ბაღის ეზოს, სპორტულ-გასართობი და საბავშვო მოედნების კეთილმოწყობა და ინვენტარით აღჭურვა;

გ) სანიტარულ-ჰიგიენური მდგომარეობა დამაკმაყოფილებელია, შენობის გათბობისა და უსაფრთხოების საკითხები მეტ-ნაკლებად მოგვარებულია. თუმცა ზოგიერთ ბაგა-ბაღში არსებობს სასწავლო ჯგუფებში ცხელი წყლის მიწოდების პრობლემა.

2017 წლის ბიუჯეტის 9 თვის მონაცემებით ვფიქრობთ, რომ ზოგიერთი მიმართულების საკითხებში მოხდა თანხის არაეფექტური განაწილება. ამიტომ უნდა მოხდეს მონიტორინგი და ანალიზი 2017 წლის განვლილი ბიუჯეტის და 2018 წლის ბიუჯეტის ხარჯვითი ნაწილის.

2. ინფრასტრუქტურა

2017 წლის 9 თვის ბიუჯეტის განხილვისას ინფრასტრუქტურის სამუშაო ჯგუფის წევრებმა ყურადღება გაამახვილეს შემდეგ ინფრასტრუქტურულ საკითხებზე:

1. ქალაქის მთავარი და შიდა ეზოებში შემავალი გზების რეაბილიტაცია უნდა მოხდეს სწორი პრიორიტეტების განსაზღვრით. სამუშაოები არ უნდა ჭიანურდებოდეს დროში, მათი შესრულება უნდა ხდებოდეს შესაბამისად მოცემულ ვადებში და ხორციელდებოდეს მისი ხარისხის კონტროლი.

2. ერთ-ერთ საკვანძო პრობლემას წარმოადგენს ქალაქის სანიაღვრე და საკანალიზაციო სისტემის მოწესრიგება. ამიტომ ამ კუთხით დახარჯული თანხები არასაკმარისად მიგვაჩნია, ასევე არ ხდებოდა სანიაღვრე და საკანალიზაციო სისტემის სრულად რეაბილიტაცია ზოგიერთ მისამართზე. ყოველივე კი იწვევდა ზედმეტი თანხების ხარჯვას და ფინანსების არაეფექტურ გამოყენებას. შემსრულებელი ვალდებულია, სამუშაო შეასრულოს სრულად და ხარისხიანად, ასევე მოხდეს მისი მონიტორინგი.

3. ფეხით მოსიარულეთა ბილიკები და გზებზე გადასასვლელები ერთ-ერთი პრიორიტეტია მუნიციპალიტეტისათვის. 2017 წლის ბიუჯეტიდან გამოყოფილი თანხები მეტი ეფექტურობით უნდა დახარჯულიყო ამ კუთხთ. ავტომობილების მატებასთან ერთად საჭიროდ მიგვაჩნია შესაბამისად უფრო უსაფრთხო და ადაპტირებული გადასასვლელების მოწყობა ქვეითთათვის.

4. რაც შეეხება სკვერების რეაბილიტაციებსა და მათ კეთილმოწყობას, აშკარად გამართლებულია თანხების მიზნობრიობა. ქალაქში გაჩნდა რამდენიმე ალტერნატიული და ადაპტირებული დასვენების ადგილი შესაბამისი ინფრასტრუქტურით. რაც შეეხება ერთ-ერთ მოედანს (ჟ. შარტავას სახელობის მოედანი) ნამდვილად იმსახურებს კეთილმოწყობილ და ინფრასტრუქტურულად გამართული მოედნის სტატუსის შეძენას. მისი მნიშვნელობიდან გამომდინარე, ვიმედოვნებთ, მოხდება შესაბამისი თანხების გამოყოფა 2018 წლის ბიუჯეტის ინფრასტრუქტურულ ნაწილში და მოხდება მოედნის რეაბილიტაცია.

3. ჯანდაცვისა და სოციალურ საკითხები

2017 წლის 9 თვის ბიუჯეტის განხილვისას ჯანდაცვისა და სოციალურ საკითხთა სამუშაო ჯგუფის წევრებმა იმსჯელეს განვლილი ბიუჯეტის შედეგებზე და ყურადღება გამახვილეს შემდეგ საკითხებზე:

1. საზოგადოებრივი ჯანდაცვის მომსახურებას უზრუნველყოფს საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრი, რომელიც 2017 წლის განმავლობაში ვერ ახორციელებდა ეფექტურ მუშაობას. კერძოდ: არ ხდებოდა კორპუსების სადარბაზოებისა და სარდაფების სისტემატური შეწამვლა და სადეზინფექციო მასალით დამუშავება. რიგ შემთხვევებში არ ხდებოდა ანტისანიტარული ღონისძიებების გატარება ადგილებში, რომელიც ვირუსისა და ეპიდემიის გავრცელების მაღალი რისკ-ფაქტორის მატარებელია.

2. მედიკამენტებით დახმარების პროგრამის მეტი ეფექტურობისა და შედეგისთვის ეს პროგრამა საჭიროების მიხედვით მაქსიმალურად ხელმისაწვდომი და შედეგის მომტანი უნდა იყოს თითოეული შეჭირვებული მოქალაქისათვის. 2017 წლის განმავლობაში პროგრამით გათვალისწინებული დახმარების მიღება შეძლო უამრავმა მოქალაქემ და მნიშვნელოვანია, რომ ეს პროცესი 2018 წელსაც გრძელდება.

3. ბუნდოვანია რამდენად ეფექტურად და საჭიროების მიხედვით მოხდა ბიუჯეტიდან გამოყოფილი თანხის ათვისება შშმ პირთა რეაბილიტაციის ცენტრის მიერ ინფრასტრუქტურული თუ სოციალური პროგრამის ფარგლებში. შშმ პირთა რეაბილიტაციის ცენტრის ბენეფიციარები გამაჯანსაღებელ მასაჟებს საჭიროებენ არა 2017 წლის პროგრამით გათვალისწინებულ წელიწადში 2-ჯერ, არამედ ყოველ თვე ან ორ თვეში ერთხელ მაინც.

4. მნიშვნელოვანია ხანდაზმულთა სოციალური დაცვა და უხუცეს დღეგრძელთა ერთჯერადად დახმარება, თუმცა ვფიქრობთ თუ მოხდება თანხების მობილიზება და ხარჯვითი ნაწილის სწორად განაწილება, შესაძლებელი იქნება მათი დახმარება თუნდაც 2-ჯერადად.

5. მარჩენალ დაკარგულთა და მრავალშვილიან ოჯახთა სოციალური დაცვა და დახმარება უნდა მოხდეს მეტი კონტროლითა და მონიტორინგის საფუძველზე.

თუ განვიხილავთ ბიუჯეტის ხარჯვის საერთო შედეგებს 2017 წლის 9 თვის განმავლობაში სოციალური კუთხით განხორციელებულ პროექტებში, დადებითად შეგვიძლია შევაფასოთ.

მცირე ხარვეზებისა და შენიშვნების მიუხედავად შეგვიძლია ავღნიშნოთ, რომ სოციალური დახმარების პროგრამა მუშაობს.

ქ. რუსთაავის მუნიციპალიტეტის მერის სამოქალაქო მრჩეველთა საბჭო

სხდომა N13

19 თებერვალი 2018

ელგუჯა ღვინიაშვილი	
ლეილა ჩიქვილაძე	
მარინა კვიციანი	
ამირან მეგრელი	
ლელა კეთილაძე	
ნუკრი რამიშვილი	
თემურ შაფათავა	
გვანცა მასტერენკო	
გვარამაძე მარინა	
ტუქსიშვილი მარიკა	
ნინო ნადირაძე	
მალხაზ რაზმაძე	
ფიქრია ბირთველიშვილი	
გივი ჩხაიძე	
რეზო ბერაძე	
სოფო კონჭოშვილი	
ინგა ჯიჯლავა	
რამაზი შალიკაშვილი	
გურამი სხილაძე	
ლია კობახიძე	